ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4058926

ნომერი: AR1609296

თარიღი : 18.06.2018

გაცემის თარიღი : 09.07.2018

გაცნობის თარიღი : 09.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქვიშხეთი , N 1ბ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ვარდისუბანი , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შორენა კიკვაძე პ/ნ 01001002359
- ილორის ქ20 ბ4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 18

ივნისს №AR1609296 განცხადებით მომართა შორენა კიკვაძემ და ამავე სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ქვიშხეთი, N1ბ / ქ. თბილისი, ქუჩა ვარდისუბანი, N6, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.12.08.006.018) მრავალბინიანი საცხორებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 15 თებერვლიდან 2018 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით.
2018 წლის 25 აპრილის №3929066 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდა 1056.5 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 660.8 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 124.8 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 150.1 კვ.მ, დამხმარე ფართობად 12.1 კვ.მ. ასევე მოხდა გეგმების ჩანაცვლება.
სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3973825 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებში და +0.00 ნიშნულის საპროექტო გეგმა ჩანაცვლდა განმცხადებლის მიერ 2018 წლის 30 აპრილის NAR1596406 განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
განმცხადებლის განმარტებით, 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, სართულის გეგმა +4.00 ნიშნულზე/საპროექტო/, სართულის გეგმა +7.00 ნიშნულზე /საპროექტო/და სართულის გეგმა +10.00 ნიშნულზე /საპროექტო/ დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები და ითხოვს აღნიშნული გეგმების წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნული გეგმებით ჩანაცვლებას.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული გეგმები შესაბამისობაშია სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებში და სართულის გეგმა +4.00 ნიშნულზე /საპროექტო/, სართულის გეგმა +7.00 ნიშნულზე /საპროექტო/ და სართულის გეგმა +10.00 ნიშნულზე /საპროექტო/ ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი სართულის გეგმა +4.00 ნიშნულზე /კორექტირებული/, სართულის გეგმა +7.00 ნიშნულზე /კორექტირებული/ და სართულის გეგმა +10.00 ნიშნულზე /კორექტირებული/ გეგმებით. სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 თებერვლის №3825614 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.